ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6530272

ნომერი: AR1973987

თარიღი : 22.06.2023

გაცემის თარიღი : 27.06.2023

გაცნობის თარიღი : 28.06.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ლევან რჩეულიშვილის ქუჩა, N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შადიმან კორძაძე პ/ნ 17001000182
- თბილისი, დიღმის მასივი კვ. 4. ბინა N7.

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 20 კუბ.მ-მდე მოცულობის 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- ინტერაქტიულ რუკაზე ნაცვლად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისა, განსაზღვრული უნდა იყოს სარეკონსტრუქციო ხაზობრივი ნაგებობის შესაბამისი კონკრეტული ტრაექტორია (ან წარმოდგენილი იქნეს ახალი განცხადება, რომლის მიხედვითაც თავიდანვე ზუსტად იქნება განსაზღვრული ტრაექტორია);
- მოთხოვნის ტექსტი: დაზუსტდეს და მიეთითოს როგორც გაზსადენის წნევა (დაბალი, საშუალო თუ მაღალი), ასევე მილის შიდა დიამეტრი;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია (საკადასტრო მონაცემები) ხაზობრივი ნაგებობის, რომლის რეკონსტრუქციაც მოთხოვნილია განცხადებით და ამავე ნაგებობის მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა;
- ფოტომონტაჟი: დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს ფოტომონტაჟი - მოთხოვნილი სამუშაოების არსებული სიტუაციის ფოტოზე ასახვით;
- წარმოდგენილია ასევე იპოთეკარის სს „პროკრედიტ ბანკის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204851197) სახელით გაცემული თანხმობა, რომელიც არ არის მისაღები არაერთი მიზეზის გამო. კერძოდ:

ა) გაუგებარია, რომელ პროექტზე და ნებართვაზეა საუბარი ზემოხსენებულ თანხმობაში;

ბ) გაუგებარია, რატომაა პირობა ჩადებული, რომ იპოთეკის საგნის ჩანაწერი დარჩება უცვლელი და არ შემცირდება იპოთეკის საგნის ღირებულება;

გ) წარმოდგენილი არ არის თანხმობაზე ხელისმომწერი პირების: ფილიალის მმართველად მითითებული ირაკლი მაისურაძისა და ბიზნეს კლიენტთა მრჩევლად მითითებული თინათინ აფხაზავას უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც უნდა დადასტურდეს, რომ მათ ნამდვილად ხელეწიფებათ იპოთეკარის სახელით გასცემ მსგავსი შინაარსის თანხმობა.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.